ბორის პაიჭაძის ორი ბურთი

თამაში დაიწყო. ბორის პაიჭაძემ მსუბუქად გაჰკრა ფეხი ბურთს. იგი მიიღო ბერძენიშვილმა და შეუნელებლივ გადასცა ღოღობერიძეს. უკანასკნელთან მიიჭრნენ "ტორპედოს" დამცველები ილინი და იაკოვლევი. ღოღობერიძემ აჯობა – ბურთი გადმოიტანა მოედნის მარჯვენა მხარეზე და შორიდან, მძლავრი დარტყმით გაგზავნა "ტორპედოს" კარში. ეს სახიფათო ბურთი მეკარე აკიმოვს ხელიდან გაუსხლტა და ხაზს იქით გადავარდა. ინიშნება კუთხური დარტყმა. აწვდის ჯეჯელავა. ბურთი ტრიალებს "ტორპედოს" კართან, მაგრამ მას იგერიებს დამცველი მაშკარკინი – მან ბურთი მოედნის ცენტრისაკენ გაგზავნა…

თბილისის "დინამოს" თავდამსხმელთა მიერ გათამაშებულ პირველ კომბიანაციას გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამან ერთგვარი ნერვიულობა გამოიწვია "ტორპედოს" დამცველთა თამაშში. "ტორპედოს" დაცვა უკვე ცდილობს ბურთის მხოლოდ მოგერიებას და არა თავდამსხმელებისათვის მიწოდებას. ყოველ წუთს აშკარა, თითქოს აუცდენელი საფრთხის წინაშეა მოსკოველთა კარი. ხან მეკარე, ხან კიდევ დამცველები ზედიზედ გზავნიან ბურთს ხაზს იქით. აი, მეოთხე, კუთხური დარტყმა მოსკოველთა კარში. ბურთთან მიდის ბორის პაიჭაძე. "ტორპედოს" კართან შეჯგუფდნენ დამცველებიც და თავდამსხმელებიც.

ტორპედოელები თითქოს წინასწარ გრძნობენ არასასურველ შედეგს. მსაჯის სასტვენის ხმა. პაიჭაძის ნატყორცნი ბურთი მაღლა გამოჰყვა ხაზს, კარის კუთხესთან იცვალა მიმართულება და ბადეში გაეხვია. ეს იყო ჭეშმარიტად ოსტატური, ვირტუოზული დარტყმა. ამაო აღმოჩნდა დამცველთა ცდაც – თავური დარტყმით მოეგერიებინათ ბურთი და სპორტის დამსახურებული ოსტატის მეკარე აკიმოვის ნახტომიც. თამაშის დაწყებიდან მეშვიდე წუთზე აკიმოვმა ბადიდან გამოიტანა ბურთი. ანგარიში გაიხსნა. 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაში უფრო ცხოველდება. ბურთი განუწყვეტლივ ტრიალებს "ტორპედოს" საჯარიმო მოედანზე. პაიჭაძის, ჯეჯელავას და ღოღობერიძის მიერ ზუსტად მიწოდებული ბურთები ვერ გამოიყენეს ბერეჟნოიმ და ხარბედიამ, მიუხედავად იმისა, რომ 4–5 მეტრის მანძილზე პირისპირ იდგნენ აკიმოვთან. ამან იხსნა მოსკოველები ორი აშკარა გოლისაგან.

სტუმრები მალე ახერხებენ თამაშის გადმოტანას მოედნის ცენტრში. პონომარიოვმა შორიდან დარტყმული ბურთებით თამაშში ჩააბა თბილისელთა მეკარე იოსელიანი. მაგრამ სალდაძე, გაგუა, ბერძენიშვილი და პეხლევანიდი ადვილად იგერიებენ ტორპედოელთა შემოტევას, ხოლო თბილისელთა თავდამსხმელები კვლავ "ბომბავენ" მეკარე აკიმოვს.

თამაშის დაწყებიდან გავიდა ოცი წუთი. მოედნის ცენტრში ღოღობერიძემ ბურთი გადასცა ხარბედიას. უკანასკნელმა ზუსტად მიაწოდა პაიჭაძეს. აქვეა საშიში თავდამსხმელისადმი მიჩენილი მეორე ნომერი – ილინი. მაგრამ ამჯერად პაიჭაძემ ბურთი სწრაფად გაიტაცა მოედნის მარცხენა ფრთისაკენ. მას "ტორპედოს" ორი დამცველი გადაეღობა. თავდამსხმელმა ესენიც "მშრალზე" დასტოვა. შემდეგ ნახევარდამცველები გაეშურნენ პაიჭაძისაკენ. აქაც გაიმარჯვა ოსტატმა. ახლოს მიიჭრა მარცხენა მხრიდან მოწინააღმდეგის კართან და ზუსტი, მძლავრი დარტყმით უკვე მეორეჯერ შეარხია სტუმრების ბადე. ამ ბურთს ვერც ერთი მეკარე ვერ აიღებდა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბორის პაიჭაძემ ეს მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა. მაყურებელს ხიბლავდა მისი სისწრაფე, მოუქანცველობა, ბურთის მოფიქრებული გადაცემა და ზუსტი დარტყმა კარში.

2:0 თბილისის "დინამოს" სასარგებლოდ. ამ ანგარიშით დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი.

თამაშის განახლების პირველ წუთებშივე ცხადი შეიქნა, რომ "ტორპედოს" გუნდი ოდნავადაც არ შერიგებია დამარცხებას. ამჯერად სტუმრებმა თბილისის დინამოელებს შესთავაზეს თამაშის სწრაფი ტემპი. თბილისელებმა მიიღეს გამოწვევა. ბურთი წუთიდან–წუთზე ტრიალებდა და უკუიქცეოდა "დინამოსა" და "ტორპედოს" კართან. გაჩაღდა შეუპოვარი "ბრძოლა"…

თუ თამაშის პირველ ნახევარში თბილისელთა დამცველნი, განსაკუთრებით მეკარე იოსელიანი, შედარებით თავისუფლად იყვნენ, ახლა მათ მოსვენებას არ აძლევდნენ "ტორპედოს": თავდამსხმელები. პონომარიოვი, კარიჩევი, პეტროვი და პანფილოვი ზედიზედ ურტყამენ თბილისელთა კარში: განსაკუთრებით აქტივობას იჩენს მეცხრე ნომერი – "ტორპედოს" თავდასხმის ცენტრი პონომარიოვი. მან წელს პაიჭაძის მსგავსად ორი ბურთი გაიტანა მოსკოვის "დინამოს" კარში. მის წინააღმდეგ სუსტნი აღმოჩნდნენ სემიჩასნი და ხომიჩი. აი, პონომარიოვი გაუსხლტა თბილისელთა დაცვას, სულ რამდენიმე მეტრზე პირისპირ დარჩა მეკარესთან, მძლავრი დარტყმა – თითქოს აშკარა გოლია… მაგრამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა მეკარე იოსელიანი. მან აიღო ეს ბურთი და მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში დაიმსახურა.

სტუმრების შეტევა არ ნელდება, მაგრამ თბილისის “დინამოს” დაცვის – სალდაძის, გაგუას, პეხლევანიდის და განსაკუთრებით მეკარე იოსელიანის შესანიშნავი თამაშის შედეგად ანგარიში უცვლელი დარჩა.

მატჩი უნაკლოდ ჩაატარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა შიროკოვმა (მოსკოვი).

ამრიგად, თბილისის “დინამომ” მერვე გამარჯვება მოიპოვა. მან 9 შეხვედრიდან მოაგროვა 16 ქულა. “ტორპედოს” გუნდმა ამ მატჩის წაგებით გათამაშების კალენდარში მესამე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა და მესამე ადგილი დაუთმო მოსკოვის “დინამოს”.

ა. თარიშვილი.
11 ივნისი, 1946 წ.